საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia
LEPL Environmental Information and Education Centre

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6 (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge
0159, #6 M. Gelovani str., Tbilisi, Georgia (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge

N 01/1/1960
10/12/2021

1960-01/1-2-202112102001

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2021 წლის ანგარიშს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

ა) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსულია 24 განცხადება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და "საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების შესაბამისად ცენტრში უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით და ელექტრონული რესურსების საშუალებით გამოთხოვა.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნათა და მოთხოვნაზე უარის თქმის რაოდენობას/მიღებულ გადაწყვეტილებას 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 10 დეკემბრამდე მსგავსი მოთხოვნის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შემოსული განცხადებებიდან:

- საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 19 შემთხვევაში.
- საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნა 4 შემთხვევაში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მათგან 3 შემთხვევაში - მოთხოვნილი იყო პერსონალური ინფორმაცია, 1 შემთხვევაში - მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი ინფორმაციული უსაფრთხოებიდან გამომდინარე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან ინფორმაცია ეხებოდა შიდა სისტემის არქიტექტურას, უსაფრთხოებას და მოვლა-პატრონობის პროცედურებს.
- საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნა 1 განცხადებაში აღნიშნული საკითხები ეხებოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილების სფეროს და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად განცხადება გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

- საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე სრულად უარის თქმის არც ერთი შემთხვევა.

გ) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირია ანა მანჯავიძე - გარემოს საინფორმაციო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

დ) საანგარიშო პერიოდში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შემოსული განცხადებები ძირითად შემთხვევაში შეიცავდა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას. ხშირად მოთხოვნილი იყო შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა, მათ შორის გენდერული ჭრილის შესახებ;
- გენდერთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;
- მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ;
- საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ;
- ბალანსზე რიცხული ავტომობილების შესახებ;
- საჯარო განხილვების ოქმების და სხვა მასალების შესახებ;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების შესახებ.

ე) გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არც ერთი ფაქტი.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობდა "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პრინციპებით, საქართველოს კონსტიტუციით და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსის'' შესაბამისი მუხლებით.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით.

ცენტრის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (edoc) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

ცენტრის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

ზ) საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით ადმინისტრაციული საჩივრის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი